



## საქართველოს პრეზიდენტი

### საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად, შენიშვნებით გიბრუნებთ საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 5 აპრილს მიღებულ და ხელმოსაწერად წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც შედგება შემდეგი კანონის პროექტებისაგან: „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კანონის პროექტების შენიშვნებით დაბრუნება განპირობებულია იმით, რომ მათი მიღების დროს საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა ევროპული კომისიის „დემოკრატია კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია)“ რეკომენდაციები (N701/2012, CDL-AD(2013)007).

შენიშვნები შეეხება შემდეგ საკითხებს:



1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. ვენეციის კომისიის დასკვნაში მითითებულია, რომ „იუსტიციის საბჭოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა მოსამართლეების დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისაგან. სწორედ აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, არამართებული იქნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის სრული განახლების დაშვება“ (პარაგრაფი 69); „პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისაგან, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას“ (პარაგრაფი 71); „საბჭოს ყველა წევრის ვადამდელი გათავისუფლება შექმნის პრეცედენტს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ახალ მთავრობასა თუ ახალ პარლამენტს, რომელიც მხარს არ უჭერს საბჭოს შემადგენლობასა და წევრებს, შეეძლება მისი ვადამდელი დათხოვნა და ახალი საბჭოთი ჩანაცვლება. უმეტეს შემთხვევაში ამგვარი ცვლილება, განსაკუთრებით როდესაც ის განხორციელებულია მოკლე ვადებში, გამოიწვევს ეჭვს, რომ მის მიღმა იმალება მიმდინარე საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოზე ზემოქმედების განზრახვა“ (პარაგრაფი 72).

სწორედ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვენეციის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ „საბჭოს წევრებმა დაასრულონ უფლებამოსილების ვადა“ (პარაგრაფი 74) და მოუწოდა ხელისუფლებას „წაიშალოს ის დებულებები“, რომლებიც ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას (პარაგრაფი 78).

თუმცა, ვენეციის კომისიამ ასევე მიუთითა, რომ „შესაძლებელია გარდამავალი ზომების მიღება, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მოქმედი საბჭოს დაახლოება

დაკომპლექტების მომავალ მეთოდთან, მაგალითად სასამართლოების მოქმედი თავმჯდომარეების მიერ თავმჯდომარის თანამდებობის დატოვება იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში დარჩენის მიზნით. ასევე შესაძლებელია განისაზღვროს პროცედურა იმისთვის, რომ გამოსწორდეს ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მოსამართლეთა კონფერენციის ნაცვლად განხორციელებული დანიშვნები, ეს შესაძლებელია მოხდეს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დანიშვნების დამტკიცებაზე თანხმობის განცხადების გზით.“.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიხედვით, უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 13 წევრს. შესაბამისად, ამ საკითხში ვენეციის კომისიის რეკომენდაციები გაზიარებული არ არის.

წარმოდგენილი შენიშვნებით უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ მოსამართლე წევრებს, რომლებიც არჩეული არ არიან მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეებს, რომლებიც იმავდროულად არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, მათ ექნებათ საშუალება კანონის ამოქმედებიდან 2 კვირაში გააკეთონ არჩევანი სასამართლოს თავმჯდომარეობასა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობას შორის, როგორც ამას ვენეციის კომისიის დასკვნა ითვალისწინებს.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა არჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვის საკითხი. ვენეციის კომისიის დასკვნაში მითითებულია, რომ „თუ საბჭო წარმოადგენს მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას, მაშინ პრინციპში არასწორი იქნება ჩამოერთვას სასამართლო სისტემის რომელიმე წევრს შესაძლებლობა, იყოს არჩეული“ (პარაგრაფი 44) და რომ „იუსტიციის საბჭოს შექმნის ლოგიკა გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად მცირე შეზღუდვები დაწესდეს მოსამართლეთა უფლებაზე, აირჩიონ თავიანთ კოლეგებს შორის მათთვის სასურველი პირები, რომლებიც მათ წარმოადგენენ საბჭოში“ (პარაგრაფი 48). ამასთან, ვენეციის კომისიის მოსაზრებით, შეზღუდვები შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმ თავმჯდომარეებს, რომლებიც ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს (პარაგრაფი 45).

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის აღნიშნულ რეკომენდაციებს, ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევას სასამართლოს თავმჯდომარეების გარდა, უზღუდავს მათ მოადგილეებსა და სასამართლოს პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს.

შესაბამისად, კანონპროექტის ამ ნაწილთან დაკავშირებული შენიშვნები შეზღუდვებს ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის შეთავსებასთან დაკავშირებით. ამგვარი შეზღუდვა გამომდინარეობს ვენეციის კომისიის რეკომენდაციიდან, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს თავმჯდომარის წევრად არჩევის შემთხვევაში, მან უნდა დატოვოს თავმჯდომარის თანამდებობა“ (პარაგრაფი 50).

3. პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევის საკითხი. ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში მიუთითა, რომ „საბჭოს შემადგენლობის საპარლამენტო კომპონენტი არჩეული უნდა იქნეს კვალიფიციური უმრავლესობით - ხმათა ორი მესამედით, სავარაუდო კრიზისის აცილების მექანიზმის გათვალისწინებით, ან რაიმე პროპორციული მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს ოპოზიციის გავლენას საბჭოს დაკომპლექტებაზე“ (პარაგრაფები 52 და 78).

კანონის მოქმედი დებულება ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის მიერ როგორც თანამდებობრივი წესით გამწესებას საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის შემთხვევაში, ისე საპარლამენტო უმცირესობის სავალდებულო მონაწილეობის პროპორციულ წესს, რომლის მიხედვითაც ერთი წევრი არჩეული უნდა იქნეს იმ ფრაქციიდან (ფრაქციებიდან), რომელიც (რომლებიც) არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში, ან საქართველოს პარლამენტის იმ წევრთაგან, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ვერ პასუხობს ვენეციის კომისიის დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებს. ნაცვლად საპარლამენტო ოპოზიციის სავალდებულო მონაწილეობისა, კანონპროექტი, ერთი შეხედვით, ითვალისწინებს საბჭოს წევრთა ნაწილის არჩევას 2/3-ის უმრავლესობით, თუმცა, კანონპროექტი არ შეიცავს რაიმე დებულებას, რომელიც ხელს შეუწყობდა საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დიალოგის წარმართვასა და კონსენსუსის მიღწევას, მით უფრო, საპარლამენტო უმცირესობის აზრის გათვალისწინებას. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული

რედაქციის თანახმად, თუ საქართველოს პარლამენტმა ვერ აირჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი 2/3-ის უმრავლესობით არჩევნების პირველ ტურში, მეორე ტურში საკმარისია საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. აშკარაა, რომ აღნიშნული დებულება ვერ აკმაყოფილებს ვენეციის კომისიის მოთხოვნებს.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით ახლებურად უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევის წესი: (ა) საბჭოს წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (ამ დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებსა და მკვლევარების შორის), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას (ასოციაციის წევრების შორის), საქართველოს იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს, რომელთა საქმიანობის ერთ-ერთი სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოებში განხორციელებულ სამართალწარმოებაში; (ბ) თითო ვაკანსიაზე წარდგენილი უნდა იყოს არანაკლებ სამი წევრი; (გ) სამ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა კენჭსაყრელად წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეს საპარლამენტო უმრავლესობას, ხოლო ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე - საპარლამენტო უმცირესობას; (დ) პარლამენტის მიერ იუსტიციის საბჭოს წევრთა არჩევა ყველა შემთხვევაში მოხდება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით; (ე) პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა

კანდიდატებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერას; (ვ) თუ პირველ ტურში ვერ აირჩიეს წევრი, მაშინ მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე 2 კანდიდატი. ამ შემთხვევაშიც, არჩევისათვის აუცილებელია პარლამენტის წევრთა არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერა; (ზ) თუ მეორე ტურშიც ვერ აირჩიეს წევრი, მაშინ მეორე ტურში მონაწილე კანდიდატები წარედგინება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას. აღნიშნული ცვლილება თანაბარ პირობებში აყენებს როგორც საპარლამენტო უმრავლესობას, ისე უმცირესობას. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის უფლებამოსილება შესაძლოა გადავიდეს მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოს ხელში, ის, თავის მხრივ, შეზღუდულია იმ კანდიდატთა წრით, რომლებმაც საქართველოს პარლამენტში მოიპოვეს მხარდაჭერა.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წევრის დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ.** საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად (რომელიც ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან), საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტისათვის აღნიშნული უფლებამოსილების ჩამორთმევა წინააღმდეგობაში მოვა კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან, რომელიც ძალაში შევა 2013 წლის ოქტომბრიდან და რომელიც ითვალისწინებს დანიშვნას

პრეზიდენტის მიერ. ამ წინააღმდეგობის შესახებ აღნიშნულია აგრეთვე ვენეციის კომისიის დასკვნაშიც (პარაგრაფი 40).


საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზრუნველყოფს მის მიერ დანიშნული 1 წარმომადგენელი, ნაცვლად დღეს არსებული 2 წარმომადგენლისა. რაც შეეხება დარჩენილი ერთი წევრის გამწესების უფლებამოსილებას, აღნიშნული უფლებამოსილება უნდა გადაეცეს სასამართლო ხელისუფლებას და მისი არჩევა უნდა მოხდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. ამ ცვლილების გათვალისწინებით, უფრო მეტად გაიზრდება სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველი ორგანოს მონაწილეობის ხარისხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნის პროცესში.

**5. საკანონმდებლო პაკეტში შეტანილი სხვა ცვლილებები.**  
„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის პროექტი დაზუსტდა იმ კუთხით, რომ შეზღუდვები სადისციპლინო კოლეგიაში არჩევასთან დაკავშირებით არ უნდა დაუწესდეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, კოლეგიისა და პალატების თავმჯდომარეებს.

რაც შეეხება „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონთა პროექტებს, მათთან დაკავშირებული შენიშვნები ეხება მხოლოდ ამოქმედების ვადის საკითხს.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტსა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონთა პროექტებს.



მიხეილ სააკაშვილი